

**ქრისტეშობის საცნისკრო კანონი ქართული გალობის ტრადიციიანი
(ზოგადმართლმადიდებლური ლიტურგიკული პრაქტიკის კონტექსტში)**

საუფლო დღესასწაულისადმი მიძღვნილი კანონები ქრისტიანულ ღვთისმსახურებაში VIII საუკუნიდან გვხვდება. მას შემდეგ რაც ჰიმნოგრაფიაში რეფორმა განხორციელდა, უდიდესი ბიზანტიელი ჰიმნოგრაფები — კოზმა იერუსალიმელი და იოანე დამასკელი ქმნიან დიდ საუფლო დღესასწაულებისადმი მიძღვნილ ჰიმნებს. სწორედ მათ ეკუთვნით ქრისტეშობის დღესასწაულისადმი მიძღვნილი ორი საცნისკრო კანონი, რომელიც შექმნისთანავე დამკვიდრდა სხვადასხვა ქვეყნის მართლმადიდებელი ეკლესიის ლიტურგიკულ პრაქტიკაში. ქართულ სადღესასწაულო მსახურებაში კანონის ორივე ტექსტი პირველ ლიტურგიკულ კრებულებში შესვლიდან დღემდე უცვლელად გვხვდება.

ქართული ლიტურგიკული ძეგლები ამ კანონების კვლევისათვის უაღრესად მდიდარ მასალას შეიცავენ. IX-X საუკუნის ქართულ საღვთისმსახურო კრებულებში ორივე ჰიმნოგრაფის მიერ შექმნილი ქრისტეშობის კანონების თარგმანები გვხვდება, მათ შორის ნევირებული სახით. სხვადასხვა საუკუნეში შექმნილი სადღესასწაულო მსახურების შემცველი ლიტურგიკული კრებულები ცხადყოფენ, რომ ქრისტეშობის ღამისთვის სადღესასწაულო მსახურებაზე ორივე ავტორის კანონი სრულდებოდა, რასაც გარდა ლიტურგიკული კრებულებისა, სანოტო ხელნაწერებიც ადასტურებენ.

მოხსენების მიზანია, ლიტურგიკულ კრებულებზე და სანოტო ხელნაწერებზე დაყრდნობით მიმოვიხილოთ ქართულ სამგალობლო პრაქტიკაში აღნიშნული სადღესასწაულო კანონების დამკვიდრებისა და ფუნქციონირების ისტორია, ზოგადმართლმადიდებლური ტრადიციის კონტექსტის გათვალისწინებით. აგრეთვე, დღემდე მოძიებულ სანოტო ხელნაწერთა შედარებითი ანალიზის საფუძველზე კანონის განსხვავებულ მუსიკალურ ვერსიებში სხვადასხვა სამგალობლო სკოლის სტილური მახასიათებლებისა და საშემსრულებლო სირთულეების განსაზღვრა.

ყველაზე ადრეული კრებულები, რომელშიც ქრისტეშობის მსახურების ჰიმნები ფიქსირდება, ქართული ნევირებული ხელნაწერებია. VIII საუკუნის უდიდესი ბიზანტიელი ჰიმნოგრაფების — კოზმა იერუსალიმელისა და იოანე დამასკელის ქრისტეშობის კანონთა თარგმანები ქართულ ჰიმნოგრაფიულ კრებულებში, კერძოდ, უძველეს იადგარებში IX-X საუკუნიდან გვხვდება. ქართულ ხელნაწერ ძეგლებში, ერთი მხრივ, თავს იყრის ნათარგმნი ჰიმნოგრაფია, ხოლო მეორე მხრივ, ქართველები თავადაც ავსებდნენ ლიტურგიკულ კრებულებს საკუთარი პოეტური ჰიმნებით.

ქრისტეშობის საგალობლებს გვხვდებით როგორც ძველ (X-XI სს.) ისე ახალ ნევირებულ ჰიმნოგრაფიულ კრებულებში (XIX-XXI სს.). ძველი ქართული ნევირებული ხელნაწერებიდან შობის საგალობელთა შემცველია შემდეგი ხელნაწერები: Sin.1, Sin.14, Sin.34. მათგან ყველაზე ადრეული ფენა, რომელშიც ფიქსირდება კალენდარული დღესასწაულები და მათ შორის ქრისტეშობა, არის იოანე ზოსიმეს მიერ გადაწერილი იადგარი Sin 34, რომელიც თარიღდება X საუკუნის 40-50-იანი წლებით (დულაშვილი, 2001). შემდგომ კი ეს მასალა გაერთიანდა X ს-ის 80-იანი წლებში შედგენილ მიქაელ მოდრეკილის ნევირებულ იადგარში S 425, რომელშიც თითქმის ყოველი დღე საგალობო მასალით შევსებული და ინტენსიურად ნევირებულია. ქრისტეშობის ძლისპირების შემცველია, ასევე, XI საუკუნეში შექმნილი ნევირებული ხელნაწერი A603, სახელწოდებით „ძლისპირნი

და ღვთისმშობლისანი“. X-XI საუკუნეში ორ სხვადასხვა სამონასტრო კერაში შედგენილ მასშტაბურ ჰიმნოგრაფიულ კრებულებში ნევემირების საერთო პრინციპები შეინიშნება. მნიშვნელოვანია, რომ ხშირ შემთხვევაში ერთსა და იმავე სიტყვაზე იორდანეს და მიქაელის ნევემირება ერთნაირია. მსგავსება ვლინდება როგორც ნიშანთა მოხაზულობაში და ტექსტზე განთავსებაში, ასევე, სტაბილური ფორმულების სხვადასხვა მუხლში გამეორებაში. სტაბილური ფორმულების მონაცვლეობა განსაკუთრებით ნათლად ჩანს საგალობელთა მუხლების დამაბოლოებელ მონაკვეთებში, რაც დამახასიათებელია დამაბოლოებელი ნაგებობებისთვის.

ქრისტეშობის კანონის ხელახალ თარგმანს ვხვდებით მომდევნო საუკუნეებში შექმნილ ჰიმნოგრაფიულ კრებულებშიც. ყველაზე მასშტაბურად და სრულად შობის ჰიმნოგრაფიულმა ტექსტებმა თავი მოიყარა გიორგი მთაწმინდლის მიერ შედგენილი კრებულის — „თვენის“ დეკემბრის სათვეო ნაწილში, სადაც ქრისტეშობის მსახურების, მათ შორის, კანონის ძველი და ახალი თარგმანები სრულად არის მოცემული. აღსანიშნავია, რომ გიორგი მთაწმინდელს „თვენში“ არსებული ტექსტები ნევემირების გარეშეა. ამ ფაქტს ასეთი ახსნა შეიძლება მოეძებნოს: მთაწმინდლის მიერ შედგენილი კრებულები დახელოვნებული მაგალობელთა წრისა და მონასტრის შიდა მოხმარებისთვის იყო განკუთვნილი.

მოგვიანებით, XVIII-XIX საუკუნეში შექმნილი ნევემირებული კრებულებიდან ჩვენთვის ცნობილია ქრისტეშობის მსახურების შემცველი ხელნაწერები: Q634 და Q830. წმინდა ექვთიმე კერესელიძე XIX საუკუნის დასასრულს ქმნის ნევემირებულ კრებულს Q830. ხელნაწერს ახლავს ანდერძი, საიდანაც ვიგებთ, თუ რა პირობებში და რატომ ჩაინერა საგალობლები ნევემირებით მაშინ, როდესაც საგალობლების ნოტებზე გადატანის პროცესი აქტიურად მიმდინარეობდა. ანდერძში ნევემირების მნიშვნელობის და ნევემირების პრინციპის შესახებ თეორიული ცნობები და ახსნა-განმარტებები არ გვხვდება.

უკანასკნელი ნევემირებული კრებული ეკუთვნის XX საუკუნის სრულ მაგალობელ-მომღერალს არტემ ერქომიშვილს. მის მიერ პირადი მოხმარებისთვის შედგენილ „ნიგნაკში“¹ ქრისტეშობის საგალობლებიც მრავლად გვხვდება, მათ შორის, მოცემულია კანონის ნევემირებული ტექსტები. აქ, ძირითადად, ნიშნის ფუნქციას იძენს ჩართული ფონემები, დუბლირებული ხმოვნები და ჯვრისებრი ნიშანი, ძლისპირებთან სხვა ნიშანი არ გვხვდება. არტემისგან ორი ძლისპირის აუდიო ვერსია მოგვეპოვება იოანე დამასკელის ტექსტზე, ამიტომ ნევემირებული და აუდიო მასალის შედარებისას, ყურადღებას იქცევს ის მარცვლები, რომელზეც ხდება გამღერება. როგორც ნესი, ნევემირება და გამღერება ხორციელდება ხმოვან ბგერებზე. აღნიშნული „ნიგნაკის“ აღწერისა და შესწავლის შედეგად, მკვლევარი მანანა ანდრიაძე თავის სტატიაში „სამუსიკო ნიშნების სისტემა XIX საუკუნის ქართულ სამაგალობლო პრაქტიკაში“, აღნიშნავს, რომ „საკუთრივ ნიშნების სიმცირე და ხმოვანი ასოების ფართო გამოყენება გვაფიქრებინებს, რომ ნევემირების ტრადიცია XX საუკუნის I მეოთხედში, როდესაც სავარაუდოა ამ ნიშნების დასმა, დაკარგვის ზღვარზე იყო. მართლაც, არტემ ერქომიშვილის შემდეგ, ეს ნიშნები უკვე აღარავის ცოდნია“ (ანდრიაძე, 1999).

ქრისტეშობის საგალობლების შემცველი ნოტირებული ხელნაწერები რაოდენობრივად ბევრად აღემატება ნევემირებულ კრებულებს, რაც ბუნებრივიცაა. 10 საუკუნის მანძილზე უამრავი ლიტურგიკული კრებული, მათ შორის ნევემირებული ხელნაწერები ფიზიკურად განადგურდა, ხოლო ჰანგები, ტექსტებთან ერთად, მაგალობელთა ფენომენალურმა მესხიერებამ და გალობის ზეპირმა ტრადიციამ შემოგვინახა.

ამ დროისათვის შემონახული სამი სამაგალობლო სკოლის ტრადიციიდან ქრისტე-

¹ ნევემირებულ ხელნაწერ კრებულს ამგვარად ასათაურებს არტემ ერქომიშვილი.

შობის კანონის მუსიკალური ვერსია ყველაზე მრავალფეროვნად და სრულყოფილად გელათის სამგალობლო სკოლაში გვხვდება. სასიხარულოა, რომ ამ სამგალობლო სკოლაში კანონის ძლისპირთა ნამდვილი და გამშვენებული კილოს ნიმუშები შემოგვინახა. გალობათა ჰანგების ინტონაციურმა ანალიზმა აჩვენა, რომ ერთ ხმაში ჩანერილი ძლისპირ-დასდებლები ნამდვილი კილოს ნიმუშებია, ხოლო სამ ხმაში ფიქსირებული ძლისპირები გამშვენებულ კილოს მიეკუთვნება. ნამდვილი კილოს ნიმუშების შემთხვევაში ძლისპირები მოცემულია დასდებლებითურთ², ხოლო გამშვენებულ კილოში ჩანერილია მხოლოდ ძლისპირები³.

აღმოსავლეთ საქართველოს სამგალობლო ტრადიციაში გვხვდება ქრისტეშობის კანონის რამდენიმე ვერსია. ეს არის თავად კარბელაშვილების მიერ ჩანერილი და 1898 წელს გამოქვეყნებული კრებული „შობის საგალობელი“. აგრეთვე, გრიგოლ ჩხიკვაძის მიერ პოლიევქტოს კარბელაშვილისგან ჩანერილი ქრისტეშობის კანონის სადა კილოს ვერსია, რომლის ხელნაწერიც ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის არქივში - №2126 ინახება. გრიგოლ ჩხიკვაძის მიერ კარბელაშვილისგან ჩანერილია ქრისტეშობის 8 საგალობელი, აქედან 7 კანონის ძლისპირია. საგალობლები ჩანერილია სამ ხმაში, ორ სანოტო სისტემაზე. აღმოსავლეთ საქართველოს სამგალობლო სკოლის ნიმუშები ფიქსირდება საქართველოს ცენტრალურ არქივში დაცულ პოლიევქტოს კარბელაშვილის პირად არქივში №264 და №1461. საგალობლები გაბნეულია ან მეორდება სხვადასხვა რვეულში. საგალობლები ჩანერილია არათანმიმდევრობით და არასრულყოფილად⁴. ცნობილია, რომ კარბელაშვილების მიერ შედგენილ კრებულში „შობის საგალობელი“ თავმოყრილი საცისკრო კანონის ძლისპირთა ტექსტები განყოფილია კოზმა იერუსალიმელის მიერ შექმნილ პოეტურ ტექსტზე. ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის არქივში დაცულ №2126 ხელნაწერში არსებული ძლისპირთა ტექსტები კი ეფუძნება იოანე დამასკელის იამბიკურ ტექსტს. ორივე კანონის სამგალობლო ვერსიების არსებობა მიუთითებს საუკუნეების მანძილზე სკოლათა ტრადიციის სიმტკიცეზე და სიცოცხლისუნარიანობაზე.

შემოქმედის სკოლის სამგალობლო ტრადიციაზე მხოლოდ არტემ ერქომაიშვილის მიერ გადმოცემულ საგალობლებზე დაყრდნობით შეგვიძლია საუბარი (ქართული საეკლესიო გალობა; 2014). ქრისტეშობის დღესასწაულის 12 საგალობლიდან 7 ნიმუში საცისკრო კანონის ძლისპირია, დანარჩენი კი ქრისტეშობის ლიტურგიის სადღესასწაულო საგალობლებია. შვიდივე ძლისპირი გამშვენებული კილოს ნიმუშია. არტემის მიერ გადმოცემული 7 ნიმუშიდან 2 მიეკუთვნება იოანე დამასკელის ტექსტს, ხოლო 5 — კოზმა იერუსალიმელისაა. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ XIX საუკუნის მინიურულსა და XX საუკუნის I ნახევარში შემოქმედის სამგალობლო სკოლაში ორივე კანონი იყო შემორჩენილი, თუმცა ერთი მგალობლის მიერ ქრისტეშობის დღესასწაულის მხოლოდ 7 ნიმუშის გადმოცემა მოხერხდა.

როგორც წინასწარი კვლევის შედეგებმა აჩვენა ქრისტეშობის სხვადასხვა სამგა-

² ნამდვილი კილოს ნიმუშები გვხვდება შემდეგ ხელნაწერებში: H154³ რვეული მე-11 და მე-17-ტე. H154

⁸ — რვეული მე-16. Q 691, რვეული XX. ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის არქივში დაცული ფონდი №2124 ქრისტეშობის კანონის ექვს ძლისპირს შეიცავს, აქედან 4 ძლისპირი ჩანერილია 3 ხმაში, ხოლო IX გალობის ჩასართავი და ძლისპირი ჩანერილია ცალ-ხმაზე.

³ გელათის სკოლის ტრადიციაში გამშვენებული კილოს ნიმუშები გვხვდება შემდეგ ხელნაწერებში: Q 681 მეექვსე ნიგნი და Q666. აღნიშნული ხელნაწერებში არსებული კანონის ჰანგები იდენტურია. ორივე ხელნაწერი შედგენილია ფილიმონ ქორიძის მიერ.

⁴ არასრულყოფილად არის ჩანერილი როგორც სანოტო, ისე ვერბალური ტექსტი. ზოგიერთ შემთხვევაში საგალობლები ჩანერილია სამ ხმაში, თუმცა უმეტესი ნაწილი ფიქსირებულია ორ და ერთ ხმაში. ორი ხმის შემთხვევაში ჩანერილია ზედა და ბანის ხმის პარტია. ზოგადი დაკვირვებით შეიძლება ითქვას, რომ ეს ხელნაწერები წარმოადგენს შავ ე.წ. სამუშაო ვერსიას.

ლობლო სკოლის კანონში დამაბოლოებელი მონაკვეთები ორ ძირითად ტიპად იყოფა. მსგავსი ინტონაციური ბრუნვების არსებობა და სხვადასხვა ძლისპირში მონაცვლეობა, განსაკუთრებით კი, დამაბოლოებელი მონაკვეთებისა, განპირობებულია ერთი ჟანრის საგალობლებში საერთო ხმის მოდულების ფუნქციონირებით. კანონის სხვადასხვა მუსიკალური ვერსიის შედარებითა ანალიზმა გვიჩვენა, რომ აღმოსავლური და დასავლური სამგალობლო სკოლის ნიმუშებში სიტყვისა და ჰანგის ურთიერთმიმართების საერთო პრინციპები მუშაობს. ჰანგის გამშვენებაში სამივე ხმა აქტიურად არის ჩართული, რაც ინვევს დიაპაზონის გაფართოებას, ფაქტურის გართულებას, ხმათასვლის სხვადასხვა ტიპების ფორმირებას და შესრულების პროცესში თანხმოვანებათა მდიდარი პალიტრის შექმნას. ქრისტეშობის კანონის გამშვენებული კილოს ნიმუშების შესრულება მოითხოვს მგალობელთა მრავალწლიან პრაქტიკულ გამოცდილებას და, ამასთან, მაღალ სამეცნიერულ-ოსტატობას.

ქრისტეშობის დღესასწაული ყველა მართლმადიდებელი ეკლესიის ღვთისმსახურებაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს. დავინტერესდით სხვა მართლმადიდებლურ ღვთისმსახურებაში ქრისტეშობის კანონის რომელი ვერსიები გვხვდება და როგორ არის ჩართული უშუალოდ საღვთისმსახურო ნაწილში. გავეცანით რუსულ, სერბულ, ბერძნულ და ამერიკის ორთოდოქსული ეკლესიების ტრადიციას.

სხვადასხვა რუსულ სამეცნიერო პუბლიკაციაში ქრისტეშობის საღვთისმსახურო მსახურების მიმოხილვისას, ავტორები საუბრობენ ორი კანონის ჩართვაზე ცისკრის მსახურებაში. უდიდესი რუსი მკვლევარი მ. ნ. სკაბალანოვიჩი ნაშრომში „**Христианские праздники — Рождество Христово**“ აღნიშნავს, რომ „Как и некоторые двенадцатые праздники, Рождество Христово имеет два канона. И принадлежат они перу наиболее талантливых песнописцев – преп. *Косме Майюмскому* и *Иоанну Дамаскину* (оба в конце VIII в.), как еще каноны Крещения, 50-цы и Успения, тогда как другие из великих праздников имеют канон лишь одного из этих песнописцев – Иоанна (Пасха) или Космы (Сретение, нед. Ваий, Воздвижение). Это сообщает канону Р. Х. особую всесторонность в освещении события (Скабалланович, 1979). მკვლევარი საუბრობს კანონთა ღრმა სახისმეტყველებით შინაარსზე, კანონთა პოეტურ ტექსტებს შორის მეტრულ სხვაობაზე (დამასკელის ტექსტი იამბიკურია, ხოლო კოზმა იერუსალიმელის თავისუფალი სალექსო საზომით არის შესრულებული) და, ზოგადად, კანონის უდიდეს მნიშვნელობაზე ცისკრის მსახურებაში.

საბერძნეთისა და სერბეთის ეკლესია იზიარებს ქართულ-რუსულ საღვთისმსახურო წესს და მათთანაც ქრისტეშობის საცისკრო მსახურებაში დღემდე ჩართულია ორივე ბიზანტიელი ავტორის კანონი⁵.

ქრისტეშობის კანონის ტექსტები ქართულ ღვთისმსახურებაში IX საუკუნიდან ჩნდება და დღემდე მისი განუყოფელი ნაწილია. კანონის შინაარსი განპირობებულია თავად დღესასწაულის უდიდესი მნიშვნელობით ქრისტიანულ რელიგიაში. ქრისტეშობის საცისკრო კანონის უდიდეს მნიშვნელობას ხაზს უსვამს საუკუნეების მანძილზე შექმნილი არაერთი თარგმანი და ვერსია. აღსანიშნავია, რომ ქართული მართლმადიდებელი ეკლესია ოდითგანვე მოწინავე რიგებში იდგა და იზიარებდა ბიზანტიელ ჰიმნოგრაფთა შემოქმედებით მიღწევებს, რის დადასტურებაც ქრისტეშობის საცისკრო კანონია. ჩვენი ეკლესია მოზიარეა ზოგადმართლმადიდებლური ღვთისმსახურების წეს-განგებისა. ჩვენ მიერ ჩამოთვლილი ლიტურგიკული თუ სამგალობლო კრებულებიც სწორედ ამაზე მიუ-

⁵ სტატიაში „THE DIVINE SERVICES OF THE NATIVITY OF CHRIST“ Canon for the Nativity At the All-night Vigil for the Nativity of Christ, two canons are sung, written by the renowned hymnographers of the eighth century, St. Cosmas of Maiuma and St. John of Damascus. Both canons are saturated with sublime and profound thoughts, with beautiful images and majestic turns of speech: they are worthy of the solemnity of the feast. <https://orthochristian.com/43982.html>

თითებენ. ნევმირებულ და სანოტო კრებულებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მგალობელთა მესხიერებამ თითქმის უდანაკარგოდ შემოინახა ქრისტეშობის კანონის მრავალფეროვანი ჰანგები. აღნიშნული კი ადასტურებს იმას, რომ ეს ჰიმნები საუკუნეების მანძილზე მგალობელთა საღვთისმსახურო პრაქტიკის განუყოფელი ნაწილი იყო და არა მარტო ზრუნავდნენ მათ შენახვაზე, არამედ ამდიდრებდნენ მას მუსიკალური კუთხით.

გამოყენებული ლიტერატურა

ანდრიაძე, მანანა. (1999). „სამუსიკო ნიშნების სისტემა XIX საუკუნის ქართულ სამგალობლო პრაქტიკაში“. სამეცნიერო შრომების კრებულში: *მუსიკისმცოდნეობის საკითხები*. ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია.

დულაშვილი, ეკა. (2001). *კოზმა იერუსალიმელის საგალობელთა უძველესი ქართული თარგმანები (X საუკუნის იადგარების მიხედვით)*. ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი. თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა აკადემია.

ქართული საეკლესიო გალობა. (2014). „შემოქმედის სკოლა“. არტემ ერქომაიშვილის ჩანაწერების მიხედვით. ნოტებზე გადაიღო და შეადგინა დავით შულღიაშვილმა. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია.

Скабалланович, Михаил. (1979). Христианские праздники. Всестороннее освещение каждого из великих праздников со всем его богослужением. Рождество Христово. Книга 4 Издание журнала „Проповедчическ III. Лиотокъ“. Ред: М. Скабалланович. Киев.

ინტერნეტწყაროები

<https://orthochristian.com/43982.html>

<https://www.orthodoxroad.com/canon-of-the-nativity-of-our-lord/>

<https://www.oca.org/orthodoxy/the-orthodox-faith/worship/the-church-year/nativity-of-christ>